

## სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

### ქართულმა ბიო-ჩაიმ შეიძლება დაიკავოს თავისი ნიშა ევროკავშირში

ჩაის დარგის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში სახელმწიფო დააფინანსებს რეაბილიტაციის ხარჯების 90%-ს კოოპერატივებისთვის და 70%-ს - კერძო კომპანიებისთვის. დაფინანსების მაქსიმალური თანხა 1 ჰა-ზე შეადგენს 2 500 ლარს. სტატიის თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ აგროსასურსათო პროდუქციის შესახებ მომზადებული ცნობარი აფასებს ჩაის, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან კულტურას, რადგან მისი IRR (რენტაბელობის შიდა ნორმა) 2%-მდეა. სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი აღნიშნავს, რომ „ჩვენ დავიწყებთ ჩაის პლანტაციების მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს უკვე 2016 წლის 1 კვარტალში და 2-3 წლის განმავლობაში ჩაის ფოთლის კრეფა რამდენიმე ათას ჰექტარზე იქნება შესაძლებელი“ და „ჩვენ ვითვალისწინებთ ასევე გადამამუშავებელი ქარხნების გახსნას“. „აღმოსავლეთ გერმანიაში შენარჩუნებულია გარკვეული დადებითი განწყობა ქართული ჩაის მიმართ, ასევეა ჩეხეთის რესპუბლიკაში, პოლონეთში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში“, აცხადებს დავითაშვილი და აღნიშნავს: „ჩვენ აღვადგენთ ჩაის პლანტაციებს, მაგრამ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მრეწველობა, ჩვენ კარგი სანერგე მეურნეობა გვჭირდება“. ამავ დროს, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ სვანიძე აცხადებს, რომ რეაბილიტაციის პროექტი არ უნდა განხორციელდეს ჩაის პლანტაციების მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლის გარეშე. იგი მიუთითებს პლანტაციებზე საკუთრების დადგენის და ინვენტარიზაციის აუცილებლობაზე. ჩაის წარმოების სამართლებრივი რეგულირების მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა ჩაის დარგის ტექნიკური რეგულირების დოკუმენტის პროექტი. თუმცა, ჩაის მწარმოებლები მიიჩნევენ, რომ „პროექტი არის ძალიან სუსტი, მას აქვს ბევრი ხარვეზი, გამოტოვებულია მრავალი სახის ჩაი და ის არ განსაზღვრავს კონტროლის კონკრეტულ მექანიზმებს“. სტატიაში მითითებულია, რომ დარგის ექსპერტები მაღალ ხარისხს და კონკურენტუნარიან ფასს ასახელებენ, როგორც ქართული ჩაის ძირითად უპირატესობებს. ჩაის კრეფის სეზონი საქართველოში გრძელდება 6 თვის განმავლობაში. ჩაის მწარმოებელი რეგიონებია - გურია, სამეგრელო, აჭარა და იმერეთი. 2013 წელს საქართველომ აწარმოა 3 300 ტ ჩაი. აქედან, სამეგრელოში - 55%, აჭარაში - 33% და გურიაში - 13%. 2014 წელს თურქეთმა უდიდესი წილი დაიკავა ქართული ჩაის ექსპორტში - 34%, ხოლო ყველაზე მცირე მოცულობა გაიგზავნა რუსეთში - 8% (გამოქვეყნდა 14 დეკემბერს).

*Sarke Information News, 16.12.2015*

### 60 კოოპერატივამდე დაარსდა აჭარაში ENPARD-ის მხარდაჭერის მეშვეობით

ფერმერთა კოოპერატივების დახმარება აჭარაში ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში. 60 კოოპერატივამდე უკვე შეიქმნა აჭარაში ENPARD-ის მხარდაჭერით, აცხადებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. 3-წლიანი პროგრამის ბიუჯეტი 3,5 მილიონი ევროა, პარტნიორები არიან აჭარის მთავრობა და აჭარის „აგროსერვის ცენტრი“. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაარსება და პროდუქციის რეალიზაციის ჯაჭვის განვითარება აჭარაში განხილული იყო ბოლო მედია ტურის ფარგლებში ამ რეგიონში.

*Sarke Information News, 21.12.2015*

### FAO-ს პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ მიიღო მხარდაჭერა აკვა-კულტურების განვითარების კუთხით

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტი დასრულდა. პროექტის ფარგლებში დახმარება გაეწია

სამინისტროს ლაბორატორიას და სურსათის ეროვნულ სააგენტოს აკვა-კულტურების განვითარების კუთხით. როგორც მინისტრის მოადგილე იური ნოზაძემ განაცხადა, პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა ღონისძიებებმა გაზარდა ადგილობრივად წარმოებული თევზის და თევზის პროდუქტების გაყიდვის შესაძლებლობა ნებისმიერ ბაზრებზე მსოფლიოში. კერძოდ, შედგენილია პრიორიტეტული კვლევების (ქაფშიის უვნებლობის) და ამ ეტაპისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების სიები, განაცხადეს სამინისტროში. გარდა ამისა, FAO-ს პატრონაჟით ორი ტრენინგი ჩატარდა 2014-2015 წლებში სურსათის ინსპექტირების საკითხებით და მეთევზეობით დაკავებული ადამიანებისთვის, ხოლო ლაბორატორიაში დანერგილი მეთოდები აკრედიტაციის ჩამონათვალში შეტანილ იქნება 2016 წლის დასაწყისში.

*Sarke Information News, 23.12.2015*

### **ქართული თაფლის ექსპორტი ევროპაში შესაძლებელი გახდება იანვრიდან**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია აცხადებს, რომ იანვარში მიიღებს საერთაშორისო აკრედიტაციას თაფლის ანალიზის ჩატარებაში. ყველა მაჩვენებლის (ანტიბიოტიკები, პესტიციდები, მძიმე ლითონები) შესწავლის მეთოდების დადგენა დასრულდა ბოლო შეხვედრაზე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტებთან, აღნიშნავენ ლაბორატორიაში. თაფლის მწარმოებელი კოოპერატივებისთვის ზემოთ ჩამოთვლილი ახლადშემოღებული მაჩვენებლების ტესტირება იქნება უფასო მეფუტკრეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, განაცხადეს ლაბორატორიაში, ხოლო სხვა პირების მომსახურების ღირებულება დაახლოებით 250 ლარია. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო მაჩვენებლების ტესტირება საქართველოში არ არსებობდა აქამდე. ასე რომ ნიმუშები იგზავნებოდა, ძირითადად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც თითო ნიმუშის ტესტირება ღირს დაახლოებით 2 000 ევრო, აღნიშნულია სტატიაში (გამოქვეყნდა 23 დეკემბერს, 17:39).

*Sarke Information News, 24.12.2015*

### **5 მილიონ ლარამდე დაიხარჯება პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელებაზე მომავალ წელს**

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ცნობით, 5 მილიონი ლარი დაიხარჯება მომავალ წელს პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელების კუთხით. 2-წლიანი პროექტი მარტში დაიწყო და როგორც მოგვიანებით განაცხადეს, მისი განხორციელების საერთო ხარჯებმა მიაღწია 15 მილიონ ლარს. როგორც სააგენტოს დირექტორმა მარიანა მორგოშიამ განაცხადა, დაახლოებით 102 ბენეფიციარის განცხადება უკვე დამტკიცებულია ამ ეტაპზე, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 3,96 მილიონ ლარს. თანამედროვე ინტენსიური და ნახევრად-ინტენსიური ბაღები უკვე გაშენდა 730 ჰა-ზე, განაცხადა მან პარლამენტში სააგენტოს საქმიანობის 2015 წლის შედეგებზე მოხსენების გაკეთების დროს.

*Sarke Information News, 24.12.2015*

### **შეღვათიანი აგროკრედიტის მიმდინარე პორტფელი მოიცავს 10 359 სესხს**

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, შეღვათიანი აგროკრედიტის პროგრამის მიმდინარე პორტფელი მოიცავს 237,05 მლნ ლარის და 105,83 მლნ აშშ დოლარის საერთო მოცულობის 10 359 სესხს. საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში 25 290 სესხი გაიცა და მათი საერთო მოცულობაა 644,89 მლნ ლარი და 165,68 მლნ აშშ დოლარი. ამ პროგრამის ფარგლებში 128 ახალი საწარმო დაფინანსდა, მათ შორის 5 პროექტი დაფინანსებულია პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების და შენახვის საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 28 პროექტი დაფინანსდა 2014-2015 წლებში, განაცხადეს სააგენტოში. ამ პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 18,85 მილიონ აშშ დოლარს, საიდანაც სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს 7 მილიონ აშშ დოლარს. საერთო ჯამში, 11 ახალი საწარმო დაფინანსდა ამ პროექტის ფარგლებში. აგროდაზღვევის პროგრამის ბოლო

მონაცემებით 27 000-ზე მეტი პოლისი არის გაცემული ამ დროისთვის. 38 სხვადასხვა კულტურის დაზღვეული მოსავლის საერთო ღირებულება აღემატება 190 მილიონ ლარს, ხოლო დაზღვეული ფართობი აღემატება 23 000 ჰა-ს. 2014-2015 წლებში იყო 9 934 სადაზღვევო შემთხვევა, რის შედეგადაც ანაზღაურებულია დაახლოებით 14 მილიონი ლარი, განაცხადეს სააგენტოში.

*Sarke Information News, 24.12.2015*

### **თურქეთის Kilic Group სწავლობს მეთევზეობის საინვესტიციო პოტენციალს საქართველოში**

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ცნობით, თურქეთის Kilic Group-ის დელეგაციის ვიზიტი ჩატარდა 22-25 დეკემბერს საქართველოში ადგილობრივი თევზის წარმოების საინვესტიციო პოტენციალის შესწავლის მიზნით. Kilic Group საკუთარი პროდუქციის 75%-ის ექსპორტს აწარმოებს 40 ქვეყანაში. ვიზიტის ფარგლებში კომპანია გაეცნო ფოთისა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიებს, რათა აირჩიოს ადგილი პოტენციური თევზსაშენების და ფაბრიკისთვის, განაცხადეს სააგენტოში.

*Sarke Information News, 24.12.2015*

### **რუსეთის კომპანია ყიდის სულგუნს ევროპაში**

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღმოაჩინა ფალსიფიცირებული სულგუნი (ქართული ყველი) იტალიასა და ბულგარეთში, წერს გაზეთი. სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე განმარტავს, რომ სულგუნი რეგისტრირებულია, როგორც ქართული წარმოშობის პროდუქტი და ამიტომ მისი წარმოება სხვა ქვეყანაში ითვლება ფალსიფიცირებად. Eugeorgia.Info წერს, რომ ყველი, ბრენდირებული როგორც სულგუნი, მზადდება არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ლატვიასა და აშშ-ში. „ევროკავშირმა და საქართველომ 2010 წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას სასოფლო-სამეურნეო და სხვა კვების პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების დაცვის თაობაზე და საქპატენტმა დაარეგისტრირა სულგუნი 2012 წელს“, საქპატენტის (საქართველოს ინტელექტუალური უფლებების დაცვის სააგენტო) თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილაძემ განუცხადა Eugeorgia.Info-ს. საქპატენტი ვარაუდობს, რომ ცვლილება ყველის და სხვა ახლადრეგისტრირებული პროდუქციის თაობაზე 2016 წლის დასაწყისში იქნება შეტანილი საერთაშორისო შეთანხმების დანართში (გამოქვეყნდა 24 დეკემბერს, 16:14).

*Sarke Information News, 25.12.2015*

### **GIAM GROUP გეგმავს მურაბის წარმოებას**

საკონსერვო საწარმო GIAM GROUP გეგმავს მურაბების და ციტრუსის პიურეს წარმოებას მომავალ წელს, განაცხადეს საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში. ამ ეტაპზე კომპანია მხოლოდ კონცენტრატებს და მანდარინის წვეს აწარმოებს. კომპანიის ცნობით, კონცენტრატები სრულად იგზავნება ექსპორტზე (ევროპაში, ისრაელში, იაპონიაში და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში), ხოლო წვენი იყიდება ასევე ადგილობრივ ბაზარზე. GIAM GROUP დაარსდა 2011 წელს ქობულეთში. ასოციაციის განცხადებით, კომპანიის ინვესტიციები ამჟამად აღემატება 6,3 მლნ აშშ დოლარს.

*Sarke Information News, 28.12.2015*

### **თაფლის მწარმოებელი „ბრეტი“ მემორანდუმს გააფორმებს ჰოლანდიელ პარტნიორებთან იანვარში**

სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ დანელია** ირწმუნება, რომ 2016 წლის თებერვლიდან ქართული თაფლი ევროპულ ბაზარზე ექსპორტზე გატანილ იქნება საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატით. სამინისტროს ლაბორატორია ელოდება საერთაშორისო აღიარებას იანვარში. როგორც კი ევროპა დაადასტურებს, რომ ქართული თაფლი აკმაყოფილებს ევროპულ ხარისხს და მისი პროდუქცია შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს, საქართველო შევა მესამე ქვეყნების სიაში და ნებადართული იქნება თაფლის ექსპორტი ევროკავშირის წევრ

ქვეყნებში, ვკითხულობთ სტატიაში. ამ წლის ნოემბერში თაფლის მწარმოებელმა კომპანია „ბრეტმა“ წარადგინა საკუთარი პროდუქცია ჰააგაში ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ ორგანიზებული ფორუმის შემდეგ. კომპანიის თაფლით დაინტერესდა ჰოლანდიის სამეფო სამრეწველო კლუბის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულება. „სავარაუდოდ იანვარში, ჩვენ გავაფორმებთ მემორანდუმს ჰოლანდიის სამეფო სამრეწველო კლუბის ერთ-ერთ მიმართულებასთან, რომელიც მუშაობს აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან“ განაცხადა „ბრეტის“ დირექტორმა გიორგი კეპაშვილმა და დასძინა: „ჩვენ დავადგენთ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განახორციელოს ორივე მხარემ: გამოფენები, რეკლამა, დეგუსტაციები, რომლებსაც ჩაატარებს ჰოლანდიური მხარე“. „მემორანდუმი ძალაში იქნება 1-2 თვის განმავლობაში, სანამ დაინტერესებული პოტენციური მყიდველი გამოჩნდება და ხელშეკრულება გაფორმდება კლუბის მეშვეობით ან უშუალოდ“, აღნიშნა მან. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ფორუმების ციკლი დაიწყო ავსტრიაში 2014 წლის ნოემბერში. მას შემდეგ ჩატარდა შეხვედრა ბრატისლავაში და ბიზნეს-კონფერენცია ბრიუსელში. მეოთხე ბიზნეს ფორუმი გაიმართა ჰააგაში 24 ნოემბერს. საერთო ჯამში, 107 კომპანია იღებდა მონაწილეობას, მათ შორის, 35 საქართველოდან. შემდეგი ვიზიტი იქნება გერმანიაში, სავარაუდოდ, ზაფხულში (გამოქვეყნდა 28 დეკემბერს, 17:13).

*Sarke Information News, 29.12.2015*

## სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

**კონიაკის წარმოება სომხეთში ათი თვის განმავლობაში შემცირდა 9%-ით 13.426.4 მლნ ლიტრამდე**

სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (NSS) ცნობით კონიაკის წარმოება სომხეთში 2015 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში შემცირდა 9%-ით 2014 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 13.426.4 მლნ ლიტრამდე. სტატისტიკის თანახმად, ღვინის წარმოება გაიზარდა 2%-ით 4.451.8 მლნ ლიტრამდე. არყის წარმოება საანგარიშო პერიოდში შემცირდა 7,6%-ით 6.800.4 მლნ ლიტრამდე და ვისკის წარმოებამ შეადგინა 704 600 ლიტრი. შამპანურის წარმოება გაიზარდა 319 200 ლიტრით (282 300 ლიტრი იყო 2014 წლის მონაცემით). ლუდის წარმოება შემცირდა 13,7%-ით 19 059,7 მლნ ლიტრამდე და უალკოჰოლო სასმელების წარმოებამ შეადგინა 65.728.1 მლნ ლიტრი, რაც 2,1%-ით ზრდაა ერთი წლის განმავლობაში.

*30 ნოემბერი, ARKA*

## სომხეთის სასმელების წარმოება რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა

რუსები ყიდულობენ ნაკლებ კონიაკს და ღვინოს, ფერმერებს და მწარმოებლებს არ აქვთ ალტერნატიული ბაზრები. ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვების შემცირებამ რუსეთში შეამცირა ყურძნის მწარმოებლების შემოსავლები სომხეთში, რაც გადაუდებელი მოქმედებისკენ მოუწოდებს მათ, რათა იპოვონ ახალი ბაზრები. რუსეთი უდიდესი საექსპორტო ბაზარი იყო აქამდე სომხეთის მევენახეობის სექტორის წარმომადგენლებისთვის. ათიდან რვა ბოთლი ღვინო და ათიდან ცხრა ბოთლი ქვეყნის ცნობილი კონიაკი იგზავნებოდა რუსეთში. დანარჩენი ძირითადად მიდიოდა ბელორუსიაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის, რომელსაც სომხეთი შეუერთდა იანვარში, სხვა წევრ ქვეყნებში. თუმცა წელს, ეკონომიკური კრიზისის და არასახარბიელო გაცვლითი კურსის გამო რუსეთში შემცირდა მოთხოვნა ღვინოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე. პირველი რვა თვის განმავლობაში კონიაკის ექსპორტი განახევრდა და ღვინის გაყიდვები საზღვარგარეთ დაეცა 42 პროცენტით, განაცხადა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გარნიკ პეტროსიანმა. როცა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა შემოსავალი შემცირდა, მათ შეამცირეს ყურძნის შესყიდვები ადგილობრივი ფერმერებისგან. კრიზისი კიდევ უფრო გაუარესდა, რადგან 2015 წელს რეკორდული ყურძნის მოსავალი იყო სომხეთში, 30 პროცენტით უფრო მაღალი, ვიდრე გასულ წელს. სომეხ მეღვინეთა ასოციაციის თავმჯდომარე ავაგ არუთინიანმა

ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მწარმოებლებმა შეიძინეს მოსავლის მხოლოდ ორი მესამედი. ყურძნის 36 პროცენტამდე გაზრდილმა ექსპორტმა გასულ წელს გარკვეულ წილად შეამსუბუქა მდგომარეობა. როგორც კი ფერმერებს დარჩათ გაუსაღებელი ყურძენი, მათ დაიწყეს საპროტესტო აქციები. სექტემბერში მათ გაუყიდავი ყურძნით დატვირთული სატვირთო მანქანებით გადაკეტეს ძირითადი მაგისტრალები არარატის და ვაიოც ძორის რეგიონებში დედაქალაქ ერევანის სამხრეთით და არმავირის რეგიონში - დასავლეთით. სოფელ კაღვრაშენში არარატის რეგიონში ორმა ფერმერმა დაყარა ყურძენი გზის პირას. ერთ-ერთმა მათგანმა, ანდრანიკ მოვსესიანმა IWPR-ს განუცხადა, რომ მან გადაყარა შვიდი ტონა ყურძენი, რომელიც გაფუჭდა მას შემდეგ, რაც მან გაატარა ოთხი დღე რიგში ადგილობრივ ღვინის და კონიაკის ქარხანასთან. „მათ აიღეს ნიმუში და განაცხადეს, რომ მოსავალი ამჟავებულია“, განაცხადა მოვსესიანმა. „მათ მითხრეს, რომ უნდა გამოვიდე რიგიდან და წავიდე“. მან განმარტა, რომ ფერმერები მძიმე დღეში არიან, მათ უნდა დაფარონ საბანკო სესხები და არჩინონ ოჯახები. „გაზაფხულზე ისევ უნდა დაიწყოს მიწის დამუშავება. როგორ შეიძლება გავუმკლავდე ამ პრობლემას?“ იკითხა მან. არმავირის რეგიონში კარენ მალხასიანმა სოფელ არატაშენიდან IWPR-სთან ინტერვიუში მოყვა, თუ როგორ გაუფუჭდათ ადგილობრივ ფერმერებს ყურძნის მოსავალი რიგში გატარებული დღეების განმავლობაში ან, როცა ერთი ქარხნიდან მეორეში დადიოდნენ მყიდველის პოვნის იმედით. მათ, ვინც მოახერხა გაეყიდა პროდუქცია, ხშირად ეუბნებოდნენ, რომ ისინი არ მიიღებდნენ ფულს 2016 წლამდე. მალხასიანს გაუმართლა - მას ჰქონდა წინასწარ დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მან შეძლო გადაეტანა ოთხი ტონა ყურძენი. ზოგიერთმა ფერმერმა დაკარგა მთელი მოსავალი, სხვებმა თვითონ დაამზადეს ღვინო, ხოლო ზოგიერთს მოსავალი ჯერ კიდევ სამაცივრე მეურნეობებში აქვთ, იმ იმედით, რომ გაყიდიან ზამთარში ან გაზაფხულზე. ექსპორტის შემცირებამ გაზარდა გასაყიდი ღვინის მარაგები. „რამდენი წელი დასჭირდება მთელი ამ ალკოჰოლის გაყიდვას?“ კითხულობს ეკონომისტი მიქაელ მელკუმიანი. „ჩვენ უნდა ვცადოთ გაყიდვების ბაზრის დივერსიფიკაცია ჩინეთში და [სხვა] შორეულ აზიის ქვეყნებში. რადგან რუსეთს სანქციები დაუწესეს, ჩვენ უნდა გადავიტანოთ აქცენტი სხვა ბაზრებზე“. „ბევრი მრეწველი და ხელისუფლების წარმომადგენელი აღიარებს, რომ საჭიროა დივერსიფიკაცია. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ევროპის ბაზრები, მაგრამ ჩვენ ასევე უნდა მოვიცვათ სხვა, მაგალითად, ჩინეთის ბაზარი“, აცხადებს ოჯახური მწარმოებლების კავშირის თავმჯდომარე ვაზგენ საფარიანი, „ჩინეთს უნდა, რომ კონიაკი მათი კულტურის ნაწილი გახდეს“. სოფლის მეურნეობის სამინისტრო თებერვალში აგზავნის ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლების დელეგაციას ინდოეთში - კიდევ ერთ დიდ და აუთვისებელ ბაზარზე. ასევე, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე პეტროსიანი აცხადებს, რომ ხელისუფლება ცდილობს, რომ მოლაპარაკება აწარმოოს სასმელების მწარმოებლებთან და სთავაზობს სუბსიდირებულ სესხებს, რომ მათ შეინარჩუნონ ბიზნესი. არუტუნიანი მელვინეების კავშირიდან თვლის, რომ სექტორი რეორგანიზებულ უნდა იქნეს „შვიდ ან რვა“ კოოპერატივად, რომლის მეშვეობით მევენახეები დაუკავშირდებიან მწარმოებლებს. ფერმერები მოიყვანენ ზუსტად საჭირო სახეობებს, ხოლო ქარხნები წინასწარ აცნობებენ, რა იქნება საჭირო. პეტროსიანი აცხადებს, რომ ხელისუფლება მხარს უჭერს ამ იდეას. „ჩვენ უკვე შევიმუშავეთ კანონპროექტი კოოპერატივების შესახებ, რომელიც მალე ამოქმედდება“, განაცხადა მან.

15 დეკემბერი / iwpr.net

### **ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ინიციატივა სომხეთში**

15 დეკემბერი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტის დაწყების დღეა სომხეთში. ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ინიციატივა (OASI) ხელს შეუწყობს სომხეთის ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორის პოტენციალის განვითარებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში. პროექტის თანადაფინანსებას და იმპლემენტაციას ახორციელებს ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (Austrian Development Cooperation) ოპერატიული ერთეული. სოფლის მეურნეობა დასაქმების ძირითადი

წყაროა სომხეთში და ქვეყნის მშპ-ს თითქმის 20%-ს ქმნის. ქვეყანას აქვს ორგანული სოფლის მეურნეობის დიდი პოტენციალი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სოფლის ცხოვრების დონე მომავალში. „ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტულია სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიაში. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ფერმერებს და სოფლის მეურნეობის ბიზნესებს განახორციელონ ინვესტირება ორგანულ სოფლის მეურნეობაში; გაზარდონ წარმოება; შეისწავლონ ახალი საერთაშორისო ბაზრები და უზრუნველყონ ორგანული პროდუქტების ხელმისაწვდომობა ადგილობრივად“, განაცხადა სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე არმენ არუთუნიანმა. „მოხარული ვართ, რომ ვმონაწილეობთ ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ინიციატივაში. ეს ადასტურებს თუ რამდენად მნიშვნელოვნად ვთვლით სოფლის მეურნეობის სექტორს სომხეთში და ეს იქნება დამატებითი მხარდაჭერა ENPARD-ის პროგრამისთვის, რომელიც უკვე ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით და რომლის ფარგლებში ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ ძალიან წარმატებით ავსტრიის განვითარების სააგენტოსთან“, - განაცხადა ელჩმა პიოტრ ენტონი სვიტალსკიმ, სომხეთში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა. ეს პროექტი კონკრეტულად მიზნად ისახავს სომხური ადგილობრივი ორგანული პროდუქტების წარმოების ხელშეწყობას, ასევე ეხმარება შესაბამისი საჯარო და კერძო დაწესებულებების ეფექტიანობის ამაღლებას. ეს ხელს შეუწყობს სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შექმნას სათანადო სამართლებრივი გარემო ორგანული პროდუქტების მწარმოებლების და გადამამუშავებლებისთვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით. OASI ასევე გააძლიერებს სოფლის მეურნეობის დარგში ცოდნის გავრცელების სამსახურების ხელშეწყობას ორგანული ტექნოლოგიების კუთხით და საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარებას სასწავლო გეგმების შედგენაში. პროექტის ბიუჯეტი 3,3 მილიონი ევროა და განხორციელდება სამი წლის განმავლობაში. პროექტის მხარდაჭერის დიდი ნაწილი მოხმარდება უშუალოდ სომეხ მწარმოებლებს და გადამამუშავებლებს საგრანტო კონკურსის მეშვეობით. მცირე გრანტები ხელმისაწვდომია მცირე ფერმერებისთვის, რომლებიც ცდილობენ დაიწყო, მოახდინონ დივერსიფიკაცია და გააფართოვონ ორგანული წარმოება, ხოლო უფრო დიდი გრანტები ხელმისაწვდომი იქნება უკვე მოქმედი ორგანული ფერმერებისთვის, კოოპერატივებისთვის და გადამამუშავებლებისთვის პროდუქტიულობის და ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. სომეხი ფერმერების და მომხმარებელთა დასარწმუნებლად ორგანული სოფლის მეურნეობის უპირატესობებში ცნობიერების ამაღლების კამპანია განხორციელდება. „ავსტრიას აქვს დიდი ხნის ისტორია ორგანულ სოფლის მეურნეობაში და დღეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნიადაგის თითქმის 20% ორგანული წესით არის კულტივირებული. ჩვენ ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ ამ გამოცდილების გამოყენებას ჩვენს პროექტებში, რომლებიც ეხმარება მცირე ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების და მარკეტინგის კუთხით. ორგანული სოფლის მეურნეობა საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს ბუნებრივი რესურსებით ოპტიმალური სარგებლობა გარემოს და ბიომრავალფეროვნების დაცვით ამავე დროს“, განაცხადა ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების დირექტორმა რობერტ ზეინერმა. ევროკავშირის დახმარებამ სომხეთში გადააჭარბა 500 მილიონ ევროს 1992 წლიდან და მხარდაჭერა ყოველწლიურად იზრდება წლების განმავლობაში. ავსტრიის განვითარების სააგენტო მხარს უჭერს სომხეთს 2011 წლიდან, როგორც პრიორიტეტულ ქვეყანას თანამშრომლობის განვითარების კუთხით, კონკრეტული აქცენტით სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე.

*15 დეკემბერი / Asbarez*

### **ღვინის მწარმოებელთა კავშირი: 2015 წელი არ იყო ხელსაყრელი სომხეთის ღვინის და კონიაკის მწარმოებლებისთვის**

სომხეთის მეღვინეების კავშირის თავმჯდომარემ ავაგ არუთუნიანმა ამ წლის შედეგების შეჯამებისას ოთხშაბათს განაცხადა, რომ 2015 წელი არ იყო ხელსაყრელი ღვინის და ბრენდის

მწარმოებლებისთვის სომხეთში. მან განაცხადა, რომ ექსპორტის სეგმენტში ყველაფერი გაუარესდა და დასძინა, რომ გაუარესების მიზეზია რუსული რუბლის დევალვაცია, რომელიც დაიწყო 2014 წელს. „არ არსებობს ოფიციალური მონაცემები ჯერ-ჯერობით, მაგრამ ჩვენი შეფასება გვიჩვენებს, რომ კონიაკის ექსპორტი დაეცა მინიმუმ 15-20%-ით 2015 წელს და ფასები შემცირდა 25%-ით“, არუთინიანის სიტყვების ციტირებას ახდენს tert.am. მან ასევე განაცხადა, რომ სომხური კონიაკის მწარმოებლები მუშაობდნენ დანაკარგებით მთელი წლის განმავლობაში. „თუ ჩვენი მწარმოებლები უარს იტყვიან საკუთარი პროდუქციის ექსპორტზე რუსულ ბაზარზე, ისინი დაკარგავენ ნიშას, რომლის მოპოვებას 5-7 წელი დასჭირდა“, განაცხადა არუთინიანმა. მისი თქმით, ღვინის ბაზარს აქვს იგივე პრობლემები. ამ სეგმენტში ექსპორტი და ფასები შემცირდა, რამაც ზარალი მიაყენა მეწარმეებს. არუთინიანის სიტყვებს ასევე ციტირებს aravot.am – მისი სიტყვებით, სომხეთის მეღვინეებს მიადგათ 50%-იანი ზარალი რუსეთის ვალუტის დევალვაციის გამო. იმ შემთხვევაში, თუ სომეხ მწარმოებლებს სურთ თავიდან აიცილონ მსგავსი პრობლემები მომავალში, მათი გარიგება უნდა ეფუძნებოდეს ბარტერის მექანიზმს - მათ უნდა გადაიხადონ საქონელი თვით საქონელით. არუთინიანმა განაცხადა, რომ ეს მექანიზმი გამოიყენებოდა 1994 და 1995 წლებში თურქმენეთთან. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, ღვინის წარმოება სომხეთში გაიზარდა 2%-ით 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში ერთი წლის წინ ამავე პერიოდთან შედარებით და გახდა 4 451 800 ლიტრი, ხოლო კონიაკის წარმოება შემცირდა 9%-ით 13 426 400 ლიტრამდე. საბაჟო სამსახური აცხადებს, რომ სომხური ღვინის ექსპორტი 6,3 მილიონი აშშ დოლარი იყო 2014 წელს - 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 2013 წელს.

*16 დეკემბერი / ARKA*

### **სომხეთის მთავრობა გამოყოფს 495 მილიონი დრამის სუბსიდირებას სარწყავი კომპანიებისთვის ელექტროენერჯის გაძვირებასთან დაკავშირებით**

სომხეთის მთავრობამ გამოყო დღეს 495 მილიონი დრამი სარწყავი კომპანიების დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად, უფრო ზუსტად, 2015 წლის 1 აგვისტოდან ელექტროენერჯის გაძვირების სუბსიდირებისთვის. თანხა გამოიყო წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტისთვის. პრემიერ-მინისტრმა ჰოვიკ აბრაჰამიანმა აღნიშნა, რომ არც ერთი დრამი არ უნდა დაიხარჯოს არაფერზე, გარდა ელექტროენერჯის საფასურის გადახდისა. ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განაცხადა გუშინ, რომ ხელისუფლებამ და რუსეთში დაფუძნებული „ტაშირ ჯგუფის“ კომპანიებმა, რომლებიც სომხეთის ნაციონალური ენერჯეტიკული დისტრიბუტორის - სომხეთის ელექტრო ქსელების (ENA) ახალი მფლობელები არიან - დახარჯეს 3 მილიარდი სომხური დრამი ელექტროენერჯის გაზრდილი ფასის სუბსიდირებისთვის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სომხეთის მთავრობა და „ტაშირის ჯგუფი“ მოახდენს ელექტროენერჯის წინა და მიმდინარე ფასებში განსხვავების სუბსიდირებას შინამეურნეობების და მცირე ბიზნესისთვის პარიტეტულ საწყისებზე 2016 წლის 31 ივლისამდე. განსხვავება არის 6,93 დრამი. სუბსიდიები ეძლევა ყველა ოჯახს და მცირე ბიზნესს, რომლებიც მოიხმარენ 250 კილოვატამდე თვეში, ასევე სხვა აბონენტებს, რომლებიც 0,38 კვ ძაბვის შემთხვევაში, მოიხმარენ დაახლოებით 500 კვ/სთ-მდე. ამ უკანასკნელების სუბსიდირება ასევე დადგინდა 250 კვტ/სთ ფარგლებში. 17 ივნისს სომხეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (PSRC) მისცა ხმა ელექტროენერჯის ტარიფის გაზრდას 6,93 დრამით (0,015 აშშ დოლარი - 16,7%-ით) ერთ კილოვატ/საათზე 1 აგვისტოდან. გადაწყვეტილებამ დასაბამი მისცა ქუჩის საპროტესტო აქციებს ერევანში და სომხეთის სხვა ქალაქებში.

*17 დეკემბერი / ARKA*

### **სოფლის მეურნეობაში დაფიქსირებულია 14,5% -იანი ზრდა 2015 წელს**

არაოფიციალური მონაცემებით სომხეთის სოფლის მეურნეობაში დაფიქსირებულია 14,5-იანი პროცენტული ზრდა, აქედან 11,6 პროცენტი - მემცენარეობაში თერთმეტი თვის განმავლობაში მიმდინარე წელს - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სამველ გალსტიანმა

პრეს-კონფერენციაზე. მან ასევე დასძინა, რომ ელიან ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას. გალსტიანის განცხადებით ხორბლის, ბოსტნეულის და კარტოფილის მოცულობა გაიზარდა ქვეყანაში 2015 წელს წინა წელთან შედარებით.

22 დეკემბერი / News.am

**ახალი სომხური კანონი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის წესს** სომხეთის პარლამენტმა მიიღო დღეს მესამე და საბოლოო მოსმენით ცვლილებების პაკეტი კანონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ და სამოქალაქო კოდექსში. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განაცხადა, რომ განახლებული კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს ფერმერებს გააერთიანონ ძალისხმევა სასოფლო-სამეურნეო აქტივების უკეთესად მართვის კუთხით. მისი თქმით, ახალი კანონი ასევე განსაზღვრავს კოოპერატივების წევრების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე მთავრობის დახმარებას კოოპერატივებში გაერთიანებული ფერმერებისთვის. „მცირე სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურები ვერ მოქმედებენ ეფექტურად, ხოლო კოოპერატივებში მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ პროდუქტიულობა ფართობების ზრდის და კულტივაციის ხარჯების შემცირებით“, განაცხადა მაკარიანმა. მისივე თქმით, სომხეთში უკვე არსებობს დაახლოებით 270 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც მოქმედებენ საკმაოდ წარმატებით. მთავრობა ხელს შეუწყობს კიდევ 200 კოოპერატიული მეურნეობის ფორმირებას. კანონპროექტი რიგგარეშე სხდომაზე იქნა მიღებული პარლამენტის მიერ „დეტალური“ განხილვის გარეშე, რამაც აღაშფოთა ზოგიერთი დეპუტატი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი უნდა მიეღოთ საფუძვლიანი განხილვის შემდეგ. მაკარიანის განცხადებით, ხელისუფლება მიიჩნევს, რომ კანონპროექტი პრიორიტეტულია, მაგრამ შეიძლება შეიცვალოს, საჭიროების შემთხვევაში, მოგვიანებით. დღეისათვის დაახლოებით 3 040 ფერმერული მეურნეობაა სომხეთში.

21 დეკემბერი / ARKA

## ტენდერები და განცხადებები

**ტენდერი: კონსალტინგი, ENPARD – პროგრამის საზოგადოებრივი ეფექტურობა**

გათვალისწინებულია: ENPARD – პროგრამის კომუნიკაციური ფორმატის გაუმჯობესების ტექნიკური დახმარება სოფლის მეურნეობის და ზოგადად სოფლის განვითარებისათვის.

## პუბლიკაციები და სხვა

**Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2015 წლის სექტემბრის #40 გამოცემა**

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე:

<http://agrogeorgia.blog.com/>

**ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი**

ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე: <http://eeas.europa.eu/delegations/georgia/>.



**ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან**

სიახლეები იხ. ამ ბმულზე: [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)

**სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო**

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

[www.nfa.gov.ge/files/images/](http://www.nfa.gov.ge/files/images/)

**DWV & AGRICULTURE**

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:

[www.dwvvg.ge](http://www.dwvvg.ge)

**Agro & Food Up-to-Date**

Agro&Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე:

<http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/>

<http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/>